F 1/2 №12905

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3 იანვარი 6, ოთხშაბათი 1893 იანვარი 6, ოთხშაბათი № 3

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 8 იანვარს.**

იანვრის 6-სს 1893 წ.

ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გამართულ იქნება

ბ ა ლ ი

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.

ფასი ბილეთისა 2 მან. და 10 კაპ.

ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოუჭრელ კაბებითაც დაესწრნენ.

ბალი საღამოს 9 საათზედ დაიწყება

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

ქართული თეატრი

პარასკევს, 8 იანვარს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება

პირველად ამ სეზონში

I

რუსთაველი

ისტორიული პიესა 4 მოქმედ., კ. მესხისა

II

პირველადვე ახალი პიესა

საშოვნელსა ნაშოვნი სჯობიან

ვოდევილი 1 მოქმედ., გადმოკეთ. ა—საგან

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, მძინაროვისა; ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ადმინისტრატორი ვ. გუნია

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს უძრავ-მამულების პატრონთა საცნობელად, რომ 1892 წელს 21 დეკემბერს ტფილისის ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა: მომავალ 1893 წელს გამოერთმევა უძრავ მამულების პატრონთ ქალაქის სასარგებლოდ დასაფასებელი დამატებითი გარდასახადი $^1/_8$ % იმისა, რაც აქამდე ერთმეოდათ, ესე იგი $^3/_4$ %; ვადა ამ გარდასახადის შემოტანისა დანიშნულია, ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილებით, 1893 წლის აპრილის თთვემდე, რომლის გარდაცილების შემდეგ სახლის პატრონთ გარდახდებათ აღნიშნული გარდასახადი და კანონიერი ჯარიმა. ამას ქალაქის გამგეობა დასძენს, რომ ეს დამატებითი გარდასახადი მხოლოდ 1893 წელს იქნება და არ ელემატება ნახევარ წლის დასაფასებელ გარდასახადს. 3—3

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ჟურდანიას სასტამბო „კრონიკების“ დასაკვეთად: საველი ქრისტეფორეს ძის თურქიასაგან 3 მ. და ალექსანდრე მიხეილის ძის ინაშვილისაგან 3 მან. ამ ფულისა გვქონდა 259 მან. ამითი შესდგა 265 მ.

*** კვირას, 3-ს იანვარს, ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის შენობაში ამ სასწავლებლის დამაარსებელის, უხუცეს მასწავლებლის, ბ-ნ ალოიზი იოსების ძის მიზანდარის 30 წლის მოღვაწეობის იუბილეი იდღესასწაულეს მისმა ამხანაგებმა, მეგობრებმა, მოსწავლე ქალებმა და პატივის-მცემლებმა. იუბილიარს სიტყვა უთხრეს: ბ-ნმა პ. ა. ოპოჩინინმა, ბ-ნმა ნ. ა. ლესტოვნიჩმა და ბ-ნმა ვ. ნ. პახომოვმა, და შემდეგ საჩუქრები მიართვეს: 1) ვერცხლის ჩანგი, 2) გვირგვინი და ვერცხლის დაფა, 3) სამუსიკო სასწავლებელში მოსწავლე ქალებმა ა) დაფნის გვირგვინი, ბ) სურათებიანი ალბომი და ბევრი სხვაც.. იუბილიარის საპატივცემოდ გამართულ სადილს 70-მდე კაცი დაესწრო.

*** 2-ს იანვარს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას კრება ჰქონდა. ამ კრებაზე, სხვათა შორის, საზოგადოების წევრთაგან ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა წარსულ წლის ხოლერის შესახებ კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხის ექიმთაგან გამოგზავნილნი მოხსენებანი გადაიკითხოს და შეადგინოს რეფერატი კავკასიის მკურნალთა მომავალ საზოგადო კრებაზე წასაკითხავად.

*** ამ დღეებში ტფილისში გარდაიცვალა თ. გიორგი ვახტანგის ძე ბარათაშვილი. განსვენებული გამომძიებლად იყო მას აქედ, რაც ჩვენს ქვეყანაში ახალი სასამართლოები იქნა შემოღებული. თავისს კეთილის გულით, მოუსყიდველის და იშვიათის მშვიდობის მოყვარე ხასიათით განსვენებულმა მოიპოვა დიდი სიყვარული და პატივის-ცემა ადგილობრივ საზოგადოებისა, განურჩევლად ეროვნობისა და სარწმუნოებისა. გვამი პატივცემულის და პატიოსანის კაცისა 2-ს იანვარს მიაბარეს მიწას დიდუბის ეკკლესიის სასაფლაოზედ; დასაფლავებას ნათესავთა გარდა ბევრი წარჩინებულნი კაცნიც დაესწრნენ.

*** ჩვენ მივიღეთ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ ამ წლის პირველი წიგნი. ამ ნომერში მოთავსებულია შემდეგი ლექსები და წერილები: 1) ფიქრი მოსწავლისა,—ლექსი თ. რაზიკაშვილისა, 2) ახალი წელიწადი, 3) ახალ წლის წინა ღამეს—(ლეგენდა), თ. რაზიკაშვილისა, 4) ნიცას სიზმარი,—ლექსი შ. მღვიმელისა, 5) საახალ-წლო სურათები,—ეკ. გაბაშვილისა, 6) ძველი და ახალი წელიწადი,—ლექსი აკაკისა, 7) ციბუნია და წუნკალა (ნათარგმნი) ან. თ.—წ—სა, 8) ყინული,—ლექსი დუტუ მეგრელისა, 9) ბავშვობის დროის მოგონებანი, თევზაობა—იაკობ სვიმონიძისა, 10) ლეგენდა,—ლექსი ზეზვასი, 11) პატარ-პატარა სამეცნიერო წერილები, წერილი XIII,—ილიკოსი, 12) ჩვენი ძველი გმირები,—გ. წერეთლისა, 13) ჩიტების ახალი წელიწადი,—ან. თ.—წ—სა, 14), ჩიტი და ვანო (პაწია ბავშვებისათვის) ი. ს—ძისა, 15) ლექსი—ბარბარე ჯორჯაძისა, 16) თამაშობა, ქორობია,—თ. ხ—ძისა, 17) ანდაზები, გამოცანები და სხვანი.

*** გუშინ-წინ, 4 იანვარს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზედ კრება ჰქონდა ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებას. კრებას, საზოგადოების წევრთა გარდა ბევრი ხალხი დაესწრო. კრება დაიწყო წარსულ წლის ანგარიშის და საზოგადოების მოქმედების შესახებ მოხსენების წაკითხვით. შემდეგ დიდი კამათობა გამოიწვია მიხეილის ქუჩაზე ახალ სკოლის დაარსების საქმემ. ბ-ნმა ევანგულოვმა ურჩია საზოგადოებას, აუჩქარებლივ და ფრთხილად მოეკიდეთ სკოლის დაარსების საქმეს, რომ ზარალი არ მოგივიდეთ და იძულებულნი არ გახდეთ აჩქარებით გამართული სკოლა მალევე დაჰკეტოთო. შემდეგ საზოგადოების გამგეობამ აცნობა კრებას მის-მიერ შედგენილი პროექტი მასწავლებელ-აღმზრდელ ქალთათვის გამსესხებელ-შემნახველ კასსისა. ამ პროექტმა დიდი თანაგრძნობა გამოიწვია, მაგრამ გარდაწყვეტით-კი არ გარდაწყდა კასსის დაარსების საქმე, პროექტის დაწვრილებითი განხილვა შემდეგ კრებისათვის გადასდეს. სხვათა შორის კრებაზედ ბაასი ასტეხა აგრეთვე საზოგადოების შემოსავლის გაძლიერების საქმემ. ამის შესახებ ერთმა გარეშე დამსწრეთაგანმა, ბ-ნმა დანდუროვმა, ურჩია საზოგადოებას, პატარ-პატარა წიგნების თარგმნა უცხო ენებიდგან და ამ წიგნების ბეჭდვა-გაყიდვა. კრებამ სახეში მიიღო ეს რჩევა ბ-ნ დანდუროვისა და შემდეგის კრებისათვის გადასდო ამ საქმის გამორკვევა. ბოლოს საზოგადოების გამგეობის წევრებად კენჭის-ყრით ამოირჩიეს: ქ-ნი კაიდანოვისა, ვორობიევისა და დემიდოვიჩისა: კანდიდატებად; მედვედევისა, ამირხანოვისა და ბრინიოვისა. საზოგადოების თავმჯდომარისა და მდივნის ამორჩევა შემდეგის კრებისათვის გადასდეს. კრება ღამის $10^1/_2$ საათზედ დაიშალა.

*** როგორც შევიტყეთ, ქ. ბაქოში 23 იანვარს ქართული წარმოდგენა გაიმართება. ამ წარმოდგენისათვის ბაქოში წავლენ ჩვენის თეატრის არტისტები: საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, სვიმონიძე, აბაშიძე და გუნია. აპირობენ წარმოადგინონ ა. ცაგარლის კომედია „ბაიყუში“ და ერთი მოქმედება ზ. ანტონოვის პიესიდგან „მზის დაბნელება“. გამართავენ აგრეთვე ცხოველ სურათებს. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქართული ხორო ბ-ნ ი. ემელიანოვის ლოტბარობით. ამ წარმოდგენის შემოსავლის ნახევარი დანიშნულია „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ; მეორე ნახევარი ქ. ბაქოში ხოლერით გარდაცვლილთა ობლებს მოხმარდება.

*** ხმა დადის, რომ სახელმწიფო ხარჯით ცხენების მოშენების სამმართველოს დაუდგენია, ტფილისში დოღები გაიმართოს 25, 29 აპრილსა და 2 მაისს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ამომრჩეველთა სიების შედგენას იმ წესით, როგორსაც

## ფელეტონი

### განკიცხული ოჯახი

(სურათი გურულთ ცხოვრებისა)

დეკემბრის დამლევს სოფელ ***-ში ერთ მტკაველზე მეტი თოვლი იდო. ახალ წლის წინა დღით, ან, როგორც გურიაში ეძახიან ამ დღეს „ცხემლის ჭრას“. დაიწყო თოვნა და ნელ-ნელა აფიფქავდა ძველ თოვლზედ. საღამოს-კი მოუმატა თოვნას, ხეებს და ბუჩქებს „ხრილმა“ დაახრევინა თავი. სარებს თეთრი ბუხრის ქუდებივით ჰქონდა დახურული წვერებზედ თოვლი. გარედ მყოფ ადამიანს ერთი-ორი წამის განმავლობაში თეთრად შეფიფქავდა და თოვლის ფრად აქცევდა. მაგრამ ხალხი არ უშინდებოდა ასეთ ტაროსს, დატრიალებდნენ გარედ ვინ შეშისთვის, ვინ საქონლის მოსადენად და ვინ სხვა რამესთვის. „კალანდა“ (ახალი წელი) თენდებოდა და მომზადებულნი უნდა დახვედროდნენ, ხალხს დღეს გადაეყარა გულიდან ნაღველი, რომელსაც სხვა დროს ადვილად შეამჩნევთ მის ცხოვრებაში. თუმცა-ღა ხშირი თოვნა თითქმის აყრუებდა ყოველსავე ხმაურობას, მაგრამ პატარა ბიჭების მხიარული ჟივილ-ხივილი და სიმღერა მაინც-კი საამურად გაისმოდა არე-მარეში. აქა-იქ ისმოდა ღორის ჭყვირილი. ღორებს გურულები წმინდა ბასილის სახელობაზე კლავდნენ.

ღატაკი ნიკუა კოლოშვილიც-კი არ იკლებდა „საკალანდოთ“ ჩვეულებაზე: შვიდი-რვა ვერსის მანძილზე ზურგით ეზიდებოდა სიმინდს და თითქმის არა ფასად ჰყიდდა ვიღაც სიმინდის „პოტრაჩიკთან“, სანამ „საკალანდო“ სამზადისისთვის საჭირო ფული არ აიღო. ამ ფულიდან თორმეტ აბაზად ღორი იყიდა, რვა აბაზის ყირიმული პურის ფქვილი, სამი აბაზისაც ფორთოხლები, კამფეტები და სხვა წვრიმალნობა მოაყოლა; „ადესაის“ (იზაბელას) ღვინო, ქათმები, ყველი, თაფლის სანთელი და სხვა წვრიმანობა შინაობაში მოახერხა. მოიტანა ცხემლას შეშა, რომლითაც ჩვეულებად აქვთ ახალ წელს ცეცხლის გაჩაღება. გააკეთა „ჩიჩილაკი“ც (ადამიანის წვერის მზგავსად მოქნილი ხე), მოკაზმა ფორთოხლით, მსხლით, ვაშლით, სუროთი, კურკანტელით, ხის ბიბილოთი, მიამაგრა ზედ ორი ახალი ვერცხლის აბაზიანი, უკანასკნელ მიაწება ერთი ღერი შინვე ჩამოქნილი თაფლის სანთელი და შეინახა დილისთვის „გასალოცად“. ასე გასინჯეთ, ის ოჯახებიც-კი, რომლებიდანაც იმ ახლო ხანად სიკვდილს გამოეკლო რომელიმე წევრი, ცოტათ თუ ბევრად, ემზადებოდნენ „საკალანდოთ“.

— იცით, შვილო,—უამბობდა ერთი მოხუცი ქალი თავის შვილებს ახალ წ ის შესახებ გურიაში არსებულ ლეგენდას—ხვალინდელ დღეს თურმე ივლიანე განდგომილი გადმეიარა ქრისტიანობის დასაქცევათ. წმინდა ბასილე ევედრებოდა ღმერთს, დეიფარე ქრისტიანის ქვეყანაო. ღმერთმა შეისმინა წმინდა ბასილის, უხილავი ხელით მოხვთა ორივე გვერდებში ღვთის პირიდან გადავარდნილ ივლიანე განდგომილს ჰანგები და ფეხიც აღარ მოუცვლია, ესე მოკტა, მაშვინ წმინდა ბასილემ გამოუცხადა ქვეყანას—წელიწადის თვლაი დღეიდან დეიწყეთ და სამახსოვროთ ჩემგან ნაკურთხი ღორი დაკალითო. იმ დღიდან მოწყებული ყოლი ქრისტიანი კაცი, თუ გინდა მკვტარიც ედვას ოჯახში, ხვალინდელ დღეს დღესასტავლობს.

იმ დროს, როცა სოფელი *** ასეთ ამბავში და მზადებაში იყო, იმავე სოფელში, ერთ პატარა ფიცრულა სახლში, მიბჟუტული ცეცხლის პირას ნაღვლიანი სახით იჯდა ოცი-ოც-და ხუთი წლის ქალი, რომელსაც გამხდარ, უფერულ სახეზედ ეტყობოდა, რომ ჯან-მთელობას მოკლებული უნდა ყოფილიყო. ქალს წინ უჯდა ორი წლის ვაჟი, რომელიც თან ტიროდა და თან ზინზილით ამბობდა: „ალ მინდა ხმელაი მწადი, მისაწმელი მომეცი“ო. მეორე მხარეს თითქმის სულ ნაცარში ჩამსხდარიყვნენ ორი პატარა ქალი—ერთი ექვსის და მეორე ოთხი წლისა. ქალს ტანზე ეცვა დაფლეთილი ძველი ტანისამოსი, რომლიდანაც აგერ-აგერ სხეული მოუჩანდა. ბავშვები-კი თითქმის სულ ტიტველა იყვნენ. თოკის ნაწყვეტებივით ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვს ახალი სამოქალაქო დებულება.

*** 2 იანვარს ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში უნდა მომხდარიყო საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქის აფთიაქისა, რომელიც ეხლა ბ-ნ ოტტენსა აქვს იჯარით აღებული. ამ აფთიაქის იჯარით აღების სურვილი გამოაცხადეს: ელიაშვილმა, იონისიანმა, ზემელმა, კარმემ და კასნიცკიმ. მათ მიერ წარდგენილი პირობანი სულ სხვა-და-სხვა ნაირი აღმოჩნდა. ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, ჯერ იჯარით გაცემის პირობა შეიმუშავოს და შემდეგ დანიშნოს ვაჭრობა აფთიაქის იჯარით გასაცემად.

*** ამ დღეებში კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ გაჰგზავნა პეტერბურგს, ჩიკაგოში გასაგზავნად, სხვა-და-სხვა ექსპონატები, მათ შორის კუჩენბახის ნაწარმოები, ოსური ჭრელი ცხვარი, ხევსურული შავი ცხვარი, ერევნის ბამბა და სხ.

*** თელავი: წელს ძალიან სუსხიანი ზამთარი დაგვიდგა. არ გვეგონა, თუ იმისთანა ტკბილ და მშვენიერ შემოდგომას, როგორიც გვქონდა კახელებს, ასეთი ზამთარი მოჰყვებოდა. ისეთია ახლა თელავი, გეგონებათ, სულ მიიძინა და მიბინარდაო. არაფერი ჩამი-ჩუმი აღარა ისმის-რა. ქუჩებში სრული დუმილია და უმოძრაობა. ყველა თავ-თავის სახლში ჩაკეტილა. დეკემბერში პატარა ხანს გვალაპარაკა ღვინის ვაჭრობის ამხანაგობის საქმემ და ის იყო. მერე გაგვიჩნდა კახეთის რკინის-გზის საქმე და ახლა იმან გამოგვაცოცხლა პატარა ხანს. 12 დეკემბერს აქაურ კლუბში სადილი იყო ხელის-მოწერით გამართული, ერთის სახლობის პატივსაცემლად. სადილს უსიამოვნება მოჰყვა, სამწუხაროდ, და ბოლოს „პროტოკოლიც“ შესდგა. ლაპარაკი და ჩხუბი მოუვიდათ ორს სადილზე დამსწრეთ რაღაც შინაურ საქმის გამო.

*** იქიდამვე: ამ უკანასკნელ ხანებში თელავში წარმოდგენების გამართვა ძალიან გახშირდა. ნოემბერში ორი წარმოდგენა გაიმართა „არსენა“ და „მეორედ გაყმაწვილება“, ორივემ ჩინებულად ჩაიარა—ხალხიც კმაყოფილი დარჩა. ამ წარმოდგენებს ჰმართავენ არტისტნი ქართულ დრამატიულ დასისა: ქ-ნნი კახიძე-ანდრონიკაშვილისა, დიდებულიძისა, ბ-ნნი აწყურელი და გამყრელიძე.

*** გორი: ამ თთვის პირველს, საღამოს ჟამზედ, შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: უიმედო სიყვარულის გამო, ახალგაზდა აფიცერმა მეორე ქართველთა დრუჟინისამ ბ-ნმა ზახაროვმა, რომელიც არის შვილი ცნობილის დირექტორის ზახაროვისა, რევოლვერი იკრა მარცხენა ფერდში, ᲓᲐ ტყვია უკან ბეჭებში ამოაცალეს. აი საქმე რაში ყოფილა: ამას შეჰყვარებია ქალი სამსახურიდამ გამოსულის პოლკოვნიკის გარსევანაშვილისა, რომელიც გორში ცხოვრობს. დედას ნება არ მიუცია ცოლის შერთვისა. შვილს მაინცა და მაინც გაუმეორებია თხოვნა: ხუთასი თუმანი მამეცი და ნებაც გარსევანაშვილის ქალის შერთვისაო. ახალწელიწადს დღეს უარი მოსვლია; შესულა თავის დანიშნულთან ამ ამბის გამოსაცხადებლად და, იქიდამ რომ გამოსულა, იქვე უკრავს რევოლვერი; დაჭრილი გარსევანაანთსავე შეუყვანიათ. ტყვია თუმცა ამოაცალეს, მაგრამ დღეს, ამ თთვის 3-ში, საბრალომ სული განუტევა. როცა გამოუკითხავთ, რად ისროლე რევოლვერიო, უთქვამს, რომ უცაბედად გამივარდაო.

*** იქიდამვე: აქ ქართულის სცენის მოყვარულნი აპირებენ ამ თთვის რვისათვის ქართულ-რუსულ წარმოდგენას; ამზადებენ ქართულად „ბაიყუში“—ა. ცაგარლისას; რუსულად—ვოდევილს „Предложеніе“; ამას გარდა იქნება დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თ. ნ. ერისთავი და ს. მგა—ი; დივერტისმენტის შემდეგ ცხოველი სურათები იქნება. წარმოდგენის შემოსავალი დანიშნულია დედათა სკოლისათვის. მოთავე ამ წარმოდგენისა კნ. მ. ერისთავისა ძალიან ცდილობს, რომ ყველაფერი რიგზედ მოეწყოს და ხალხი ბლომად დაესწროს. როგორც მოთავე, ისე მოთამაშენი, ისეთნი არიან, რომ, იმედია, ხალხი ბლომად დაესწრება და ამითი შემწეობას აღმოუჩენს იმ სკოლას, რომელიც ქართველ დედათა ზრდის.

*** ქ. ოზურგეთი: 29 დეკემბერს აქ იყო თავად-აზნაურთა კრება. საგანი კრებისა იყო—წინამძღოლის ამორჩევა. წინამძღოლად აირჩიეს წინად ამორჩეული თ. ს. გუგუნავა. ამ თანამდებობის მიღების სურვილი სხვას არავის გამოუცხადებია. კენჭის ყრის შემდეგ მაზრის უფროსმა ბ-ნმა სოკოლსკიმ ჯერ აუხსნა კრებას, რა დიდი მნიშვნელობა ექნება სამეურნეო სასწავლებელს მთელის მაზრისათვის, და მერე სთხოვა დახმარება, რათა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელთან გაიმართოს სამეურნეო განყოფილებაო. კრებამ დიდის სიამოვნებით მოისმინა ბ-ნ სოკოლსკის წინადადება. ახლად არჩეულმა მარშალმა უპასუხა მაზრის უფროსს, რომ ამ საგნის გადასწყვეტა ასეთს პატარა კრებას არ შეუძლიან, და ამასთანავე აღუთქვა, რომ ამ ცოტა ხანში მოვუწოდებ საგანგებო კრებას და კრების აზრს გაცნობებთ, თუ რა გვარი დახმარება აღმოვუჩინოთ ამ კეთილს საქმესო.

*** ახალ-სენაკი: 28 დეკემბერს ღამის პირველ საათზე, აქაური, ფოსტა, რომელსაც მიჰქონდა ხაზინიდგან ჩაბარებული ფული 40,000 მანეთი, უცდიდა ფოთიდგან მომავალს საფოსტო მატარებელს. გზაზე თავს დაესხნენ შეიარაღებულნი ქურდნი, თუმცა რკინის გზის სადგური და ფოსტა ძალიან ახლოა ერთმანეთზე; ფოსტის მოხელენი და სხვა მოსამსახურენი ბარე ოთხამდე ყოფილიყვნენ. როდესაც მიახლოვებულიყვნენ სადგურს, ერთს ყაჩაღს ფარანი გაეტეხნა თურმე და სხვები-კი ეცნენ იმას, რომელსაც ფული ჰქონდა, და თავში დასჭრეს. შეექმნათ გაცხარებული ბრძოლა და ერთმა ფოსტის მოხელემ, გიორგი ხოშტარიამ, რამდენჯერმე ესროლა რევოლვერი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერავის მოარტყა. რევოლვერის ხმაზე შეშინებულან ქურდები და გაქცეულან ხელ-ცარიელნი. ხოშტარიამ ორი ნაბადი წაართვა ქურდებსა.

*** სოფ. ნატოფხანო (სენაკის მაზრა): დეკემბრის 24 აღმოსავლეთის საშინელი ქარი ამოვარდა და გასტანა ოთხს დღეს. ისეთი სასტიკი და მძლავრი ქარი, როგორც მოხუცებულები ლაპარაკობენ, დიდი ხანია თურმე, რაც არ ყოფილა. ვინ მოსთვლის, ამ ქარმა რამდენი ზარალი მოგვცა: ზოგს სახლი დაუნგრია, ზოგს სასიმიდოები და სხვა-და-სხვა... მადლობა ღმერთს, რომ ცეცხლით არავინ დაზარალებულა. დღესასწაულები ვის გახსენებია, ერთმანეთს ულოცავდნენ მშვიდობით გადარჩენას ამ ქარისაგან.

*** არანისი (დუშეთის მაზრა): აქეთ ძალიან გახშირდა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა: ჭვალ, ქუნთრუშა, ყბაყურა. ავადმყოფობას ზარალიცა აქვს: ერთ-ორ კვირაში ხუთი და ექვსი გარდაიცვალა. სასურველია, რომ ექიმი მიაშველონ სოფელს, იქნება გაანელოს როგორმე ეს სხვა-და-სხვა ავადმყოფობანი.

*** ს. კარალეთი (გორის მაზრა): ამას წინად აქ ერთი უბედურება დატრიალდა: კარალეთელი გლეხი პავლე მღევიშვილი და ერთიც შინდელი გლეხი, ვგონებ, თვალიაშვილი ერთმანეთს შეხვდნენ და ერთად ქეიფობდნენ, ჯერ სახლში და მერე—დუქანში. ამ დროს გამოიარა მინდვრიდან მომავალმა აქაურმა გლეხმა შაქრია ბაზანდარაშვილმა. დუქნიდგან დაუძახეს და მიიწვიეს შაქრო ბაზანდარაშვილი, რომელმაც თან თოფი შეიტანა. ქეიფი რომ გაათავეს, შინდელი კაცი გამოეთხოვა ყველას და შინ მიდიოდა, წამოჰკრა ფეხი თოფს, თოფი გავარდა და მოხვდა შინდელს. თუმცა მალე შეუხვიეს ჭრილობა, მაგრამ სისხლმა ბლომად იდინა და დაჭრილმა მეორე დღეს განუტევა სული. მომაკვდავმა ღვდელს აღსარებაში უთხრა, რომ შაქროს ბრალი არ არის ჩემი სიკვდილი, აპატიეთ, უსაბედი მოუვიდაო!-.

*** ს. ზენისი: (გორის მაზრა) მკითხველებს ეხსომებათ, რომ ს. ურბნისში ამ ოთხი-ხუთის წლის წინად იპოვნეს მიწაში კლდის ქვის დიდი კუბო. სწორედ ასეთივე კლდის კუბო იპოვნეს წრეულ ბერძნებმა ს. ზენისში, როცა ძველი საყდარი დაანგრიეს, ახალის გასაკეთებლად. კუბოში ძვლები ყოფილა ადამიანისა და ერთიც დიდი ჯვარი.

*** სუხუმი; აქ წელს ბევრნაირი ცვლილება მოხდა. აი, მაგალითად: ახალი ოლქის უფროსი მოგვივიდა, ახალი მსაჯული, ბატალიონის ახალი უფროსი, ახალი ზედამხედველი სკოლისა და ახალი ქალაქის დებუტატები ავირჩიეთ. თითქმის ყველაფერი ახალი, და სოხუმსაც იმედი აქვს განახლებისა და წარმატებისა. ყველა ზემოად დასახელებულნი ბევრს რასმე გვპირდებიან და, ღმერთმა ბრძანოს, ყოველივე აესრულებინოთ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქარელი** (გორის მაზრა): ეს ერთი კვირა მეტია, ისეთი ცუდი დღეები დადგა, რომ ძაღლი გარედ არ გამოიგდება. ამისთანა უამინდობაში ჩვენ სოფელში ბევრი მოიპოვება, რომ ერთი ღერი შეშაც არ ჰქონდეს და სიცივით კვდებოდეს ცოლ-შვილით; სწორედ ამნაირ მდგომარეობაში ყოფილა ებრაელი ხისიკო ციცაშვილიც; საბრალოს რომ გასჭირვებია, ცოლ-შვილი სიცივით არ დავხოცოსო, უამინდობისთვის არ დაუდევნია, წასულა ტყეში, რომ ზურგით შეშა ჩამოეტანა. შეშა კიდევაც მოეგროვებინა, მაგრამ ისე ძრიელ შესცივნია, რომ შეშა ველარ წამოუღია; ცარიელი სახლში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ შუა გზაში დავარდნილა და იქვე ნამქერში დამრჩვალა. იმ დღეს რომ ციცაშვილი სახლში აღარ დაბრუნდა, იფიქრეს, გზაში შეემთხვეოდა რამეო, გაჰგზავნეს კაცები და მეორე დღეს, 28 დეკემბერს, საბრალო ციცაშვილი შუა გზაზე იპოვნეს თოვლში ჩაფლული და გაშეშებული. მიცვალებულის გვამი ქარელში ჩამოასვენეს და იმ დღესვე მიწას მიაბარეს.

**სოფ. ბაკურციხე** (სიღნაღის მაზრა): აქ ყმაწვილების ავადმყოფობაა სხვა-და-სხვა გვარი და ამასთანავე ყვავილი. ამცრელი და ექიმი-კი არსად არის. დღეს ამავე სოფლის მედუქნე, გვარად პ—შვილი, უეცრად გარდაიცვალა; წინა ღამეს-კი კარგად მყოფს დაეძინა. მიზეზი ჯერ-ჯერობით არავინ იცის, ჯერ სიღნაღიდგან დაბარებული ექიმი არ ჩამოსულა.

აქ ქურდობის შესახებ აი რას ამბობენ მიზეზსა: ქურდები არა ერთხელ დაგვისახელებია, მიგვიცია ხელში მოხელეებისათვის, მაგრამ არა ვშველა-რა. პატარა ხანს დაამწყვდევენ და ორის სამის კვირის შემდეგ ისევ გამოგვიგზავნიან. ამას წინადაც დავიჭირეთ ორი ამ სოფლის ქურდიო, და მერე ვიღაც თავდებად დასდგომია ქურდებს და დღეს ისევ დასეირნობენ და, რაც უნდათ, იმას სჩადიანო. თუ ასე იქმნება—

---

მოკიდული ჰუჰყიანი პერანგის ნაშთი სულაც ვერ ფარავდა იმათ სხეულს. ეს ბოგანო ხალხი გახლდათ გლეხის არჩილას ცოლ-შვილი. არჩილა თითქმის აგერ ორი წელი იყო, რაც ერთ ფათერაკად მისგან ჩადენილ დანაშაულის გამო ყაჩაღად გავარდა, რადგანაც ეშინოდა სასტიკის სასჯელისა, მეტადრე „როზგის“, და მას შემდეგ მისი ცოლშვილი დაცვივდა უპატრონოდ. ხალხი აღარ იკარებდა ამათ, რადგანაც მთავრობამ ბევრჯელ მწარე დღე დააყენა იმ სოფელს არჩილას გამო. თუ რამ სარჩო ებადა არჩილას ცოლშვილს მთავრობისაგან ფირალ არჩილას დასაჭერად დანიშნულმა „სტრაჟებმა“ და „ყარაულებმა“ შეჭამეს. დარჩა საბრალო ირინე (არჩილას ცოლი) წვრილ შვილებით ცალიერზედ. ისეთი ჭირისუფალი, რომ ამ გაჭირვების დროს ხელი მიეწვდინა საშველად, ჯერე რომ არ მოეპოებოდა. მაგრამ კიდეც რომ მოენდომებია ვინმეს არჩილას ოჯახისთვის შემწეობის მიცემა, იმის სიშით, რომ მთავრობა იჭვს აიღებს ჩვენზე და ყაჩაღის თანაგრძნობას შეგვწამებსო, ვერ გაბედავდა. თითონ არჩილას, როგორც ცოფიან მგელს, ისე დასდევდნენ მოსაკლავად და რაღა პატრონობა შეეძლებოდა თავის ცოლშვილისა! რაც ყაჩაღათ გავარდა, მას შემდეგ ერთხელ ძლივს ძლივობით გადაავლო თავის ოჯახობას თვალი. მაშინაც კინაღამ იქვე სული არ დაატოვებინეს. მართალია, ხალხში ხმა დადიოდა, ვითომც არჩილა თავის ცოლს ფულებს უგზავნისო, მაგრამ ეს ტყუვილად გავარდნილი ხმა იყო, არჩილას თითონაც უნდებოდა ხარჯად და ქრთამად ის, რასაც შოულობდა ცარცვა-გლეჯით.

საშობაოდ, როგორც იყო, ირინემ იშოვნა ერთ გულ-კეთილ მეზობლიდან ორიოდე ყველი, ჩაურთო მჭადს და შვილები მოატყუა, ხაჭაპურიაო. მაგრამ ეხლა აღარავინ მიეგულებოდა ისეთი, რომ მისთვის ხელი გაეწყო.

— არ არის, შვილო, მისაჭმელი, ახლა აი გაფიცხული მჭადი ჭამე და ხვალ ღმერთი მოგვცემს. ამ სიტყვებით ირინემ აიღო კერადან მჭადის ნატეხი და მიაწოდა მტირალ ბავშვს. მაგრამ ბავშვმა არ ჩამოართვა დედას მჭადი, „ალ მინდა ხმელაი, ხოლცი მინდა“, ამბობდა ის ტირილით. მთელი დღის განმავლობაში სულ ამაზე ლაპარაკობდნენ ამ ბავშვის პატარა დები, თუ როგორი მსუქანი ღორი და ქათმები დაკლეს მეზობლისას, როგორ დაასხვეს ხაჭაპურებიო. ამ ლაპარაკმა აღუძრა ბავშვს მადა და აღარ სჯერდებოდა ხმელ მჭადს.

— უფ, უფ, უფ! ესიკაისას რა სუქანი ღორი და ქათმები დაკლეს! ჯღაზე იმისთანაი ჩიჩილაკი ეკიდა, იმისთანაი, რომე!.. თქვა ირინეს უფროსმა ქალმა და სახეზედ ხარბის გამომეტყველება დაედო.

— ნენა, ჩვენ სად გვაქ ღორი? ბაბაი მეიტანავს ამეღამ? ჩიჩალაკსაც მეიტანავს?? ჰკითხა დედას უმცროსმა ქალმა იმედიანად.

ირინეს თვალებზე ცრემლი მოადგა, მაგრამ თავი შეიმაგრა და „ჰო, ღმერთის წყალობით“ო, უპასუხა შვილს.

„ბალანაი ანგელოზია, ვინ იცის ამეღამ ეგება ქე მოვიდეს ჩემი ქმარიო“ იფიქრა ირინემ და მთელი ღამე ტკბილ ლოდინში გაატარა. ოხ, რა ბედნიერება იქნებოდა ირინესთვის, რომ გამართლებოდა იმედი და მართლა მისულიყო მისი მეუღლე! გათენდა. ხალხი შედლუხით მიეგება „კალანდას“. თოვლით გათეთრებულ არე-მარეში გაისმოდა ბავშვების მხიარული კიჟინი და თამაში. ირინე და მისი შვილები-კი ისხდნენ ცეცხლის პირას, რომელიც ისე მიბჟუტულიყო, რომ გაქრობას ცოტა-ღა უკლდა. პაწია ვაჟი და უმცროსი ქალი მოუსვენრად ტიროდნენ და ეუბნებოდნენ დედას: „გვაჭამე ღორის წიწილი“ო. უფროს ქალსაც ხშირად უგორდებოდა თვალებიდან სხვილ-სხვილი ცრემლები, მაგრამ გონიერებას ხმარობდა და უმცროსებივით დედას არ აწუხებდა.

მთელი დღე ხალხი მიდიოდ-მოდიოდა ერთმანეთთან, ულოცავდნენ ახალწელს. მაგრამ ირინესთან-კი არავინ მისულა.

ე. ნინოშვილი

31 დეკემბერს 1892 წ.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ის გვირჩევნია, სოფელმა ვზღოთ ხოლმე ყოველი დანაკარგი დ აღარავის ხელი აღარ დავადოთო.

ეს ერთი კვირაა, რაც ჩვენში თოვლი სძევს, ნათესისათვის ეხლანდელი თოვლი ძლიერ სასარგებლოა. ჩვენში პური და ქერი ძლიერ ძვირია: ფუთი ფქვილი 13. 60 კაპ. და ქერი ფუთი—1 მანათი. დიდი ხანია ასეთი სიძვირე არა ყოფილა.

## წერილი ქუთაისიდამ

ქუთაისში ამ ბოლოს დროს ძლიერ გახშირდნენ კრებანი თუ ქალაქის საბჭოსი და თუ სხვა დაწესებულებათა. 19 დეკემბერს ქალაქის საბჭოს კრება იყო, 20—ქუთაისის სამეურნეო განყოფილებისა, 21—მკურნალთა საზოგადოებისა და 23—განგრძობა ისევ ქალაქის საბჭოს კრებისა, რომელზედაც ყველა საგნების განხილვა ვერ დაასრულეს. რადგან ვკისრულობ თვალყური გადევნებინოთ ჩვენის ცხოვრებისათვის, ამიტომ ყველა ამ კრებათა ამბავს რიგისამებრ მოკლედ მოგახსენებთ.

19 დეკემბერს ქალაქის საბჭოში ოთხი საყურადღებო საგანი იყო განხილული. პირველი მათ შორის ქალაქის მამულების ხელ-ახლად დაფასებაა. 21 ხმის უმეტესობით 18 წინააღმდეგ გადასწყდა კიდევაც მამულების ხელ-ახლად დაფასება. ჩემის აზრით, ეს გადაწყვეტილება ურიგო არ არის. ერთი იმისთვის, რომ ათ წელიწადზედ მეტია, რაც არ მომხდარა მამულების დაფასება და ამ ხანში გვარიანი სახლები აშენდა ქუთაისში, ასე რომ ხელ-ახალის დაფასებით ქალაქს, თუ რამე არ შეემატება, არაფერი დააკლდება; მეორეც იმისთვის, რომ ეს ღონისძიება აუცილებელი საჭიროებაა ახალ-დებულების შემოღებასა გამო ჩვენს ქალაქში. მეორე საგანი იმავე კრების მსჯელობისა სწორედ ამ ახალ-დებულების შემოღებას შეეხებოდა. ბ-ნმა მიქიაშვილმა წინ გაუსწრო მთავრობის განკარგულებას და ურჩია საბჭოს, შენისავე ხელით დანა გაიყარე ყელ'შიო, ე. ი. ვითხოვოთ, სადაც ჯერ არს, რომ ეხლავე შემოიღონ ახალი საქალაქო დებულება ქუთაისშიო. ამაზე ბ-ნ მიქიაშვილს ქალაქის საბჭომ თითქმის ერთ-ხმად (მიქიაშვილის მომხრე მის გარდა მხოლოდ ერთი ხმოსანი იყო) უპასუხა, რომ თქვენი წინადადება სრულიად არაფრით არ არის დასაბუთებული და არცა გვსურს ვაღიაროთ, რომ ჩვენ არ ვარგივართ და გამოგვცვალეთო. მაგრამ თუ ეს წინადადება ბ-ნ მიქიაშვილისა საბუთიანი არ იყო, სამაგიეროდ მეორე მისი წინადადება მეტის-მეტად გრძელი და გადაჭარბებით დასაბუთებული გამოვიდა, მაგრამ ამაზედ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

მესამე საგანი იყო ქალაქის ხუროთმოძღვარის (архитекторъ) შესახებ. დღესაც ქალაქს სიღარიბის გამო თავის საკუთარი ხუროთ-მოძღვარი არა ჰყავს და გარიგებულია წლობით ასოც თუმნად ერთ სახელმწიფო სამსახურში მყოფ კაცთან, რომ იგი, როცა თავისუფალი დრო ექნება, ემსახუროს ქალაქის საჭიროებას. თვით ეს კაცი ღირსეული კაცია და დახელოვნებულია თავის საქმეში, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად უხერხულია ქალაქისათვის ამ ნაირის მოხელის ყოლა. როცა გსურს, ხელს ვერ მოჰკიდებ და თანაც საყვედურსაც ვერას ეტყვი, რადგან იმ კაცს თავისი უპირველესი მოვალეობა სხვა აქვს. ამას გარდა სხვა ბევრ კერძო საქმეებითაცაა დატვირთული და აბა რომელ ერთს აუვიდეს. ასეა თუ ისე, ქალაქის საბჭოში ამაზე ჩამოვარდა კამათი. ქალაქს ერთ ხუროთ-მოძღვარისაგან ბ-ნ მუხარინსკისაგან წინადადებაც მოუვიდა, რომ სამას თუმნად დაგიდგებით და ყველაფერს გაგიკეთებთო. ასე გასინჯეთ, წყლის გამოყვანასაცა და ცხენის რკინის გზის გაკეთებასაც-კი გვპირდება. ზოგნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ საჭიროაო, საკუთარი ხუროთ-მოძღვარი დაიქირაოს ქალაქმა, ზოგნი-კი ამტკიცებდნენ, რომ საკუთარიც გვყოლია წინადაო, მაგრამ დიდი ხეირი არც მაშინ გვინახავსო; სჯობს, ისევე ეხლანდელი ვიყოლიოთ, როგორც სინიდისიერი და გამოცდილი კაცი, და ავიყვანოთ მისთვის თანაშემწედ მუშაობის ერთი ზედამხედველიო (კონდუქტორი). ეს საგანი იმ საღამოს არ გადაწყვეტილა და გადაიდვა, საქმის უფრო ჯეროვანად და რიგიანად მოაზრებისათვის.

მეოთხე საგანი შეეხებოდა ქალაქის სისუფთავე-სიწმინდეს. ბ-ნმა ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, წრეულ ხოლერობის დროს ცხადად დამტკიცდაო, რომ მოიჯარადრენი, რომელნიც ვალდებულნი არიან გაწმინდონ ქალაქი და გაასუფთავონ, ვერ ასრულებენ თავიანთ საქმეს რიგიანად, რადგან არც საკმაო და არც კარგად მოწყობილი გადასაზიდი ეტლები აქვთო. ამისათვის საჭიროა, თვითონ ქალაქმა ითავოს და მოაწყოს ეს საქმეო, და მოსთხოვა საბჭოს ხუთასის თუმნის კრედიტი. საბჭო დაეთანხმა მოურავს. სწორედ ამ დროს ადგა ბ-ნი მიქიაშვილი და გაახსენა ქალაქის მოურავს, რომ მაგ საქმეს შეეხება ჩემი მოხსენებაცაო. ქალაქის მოურავმა სთხოვა საბჭოს მდივანს წაეკითხა ეს მოხსენება, რომელიც ისეთი გრძელი გამოდგა, რომ ჩვენ ხმოსნებს მოთმინების ძაფი გაუწყდათ და ზოგმა თვლემაც-კი დაიწყო. დედა აზრი ბ-ნ მიქიაშვილის მოხსენებისა გახლდათ შემდეგი:

ეხლანდელი წესი—ნურაფერს უკაცრავად ექიმებთანაო,—რომლითაც გვირჩევსო, სთქვა მან,—სიბინძურის ქალაქიდან გაზიდვისა და მის თავიდამ მოშორებისა,—უხერხულია და ჯან-მრთელობისათვის მავნებელიო. ამ აზრს ბ-ნი ქალაქის მოურავიც დაემოწმა. მან სთქვა, რომ ეხლა ჩვენ ქალაქს გარედ ორმოებსა ვთხრითო, ექიმების რჩევით, და სიბინძურეს იქ ვათავსებთო, ავსების შემდეგ მიწას ვაყრითო, მაგრამ არ მოხერხდა მათი ამოვსება და თავის მოვლესა, რადგან, რაც თხელი იყო, ის ამოტივტივდა და ორმოს პირს გადმოვიდაო.

ბ-ნი მიქიაშვილი თავის მოხსენებაში ქალაქს ურჩევს, ამოსთხაროს ორი დიდი ორმო, ერთი რიონის გაღმა მხარეს, მეორე—გამოღმა. ეს ორმოები შიგ შუაგულ ქალაქშიაც რომ იყოს, არა უშავს-რაო. ორმოებს უნდა ჰქონდეს 5 საჟენი სიღრმე, ათი—სიგრძე და ორი—განიო. გან-და-გან რელსები გაიხიდება, ზედ მუხის ფიცრები მიეწყობა და მერე მიწით მიიტკეპნებაო. შუა გულში უნდა დაეტანოს სარქმლებიო, რომელიც გერმეტიულად უნდა იქმნას დახურულიო ყოველთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჭიროება მოითხოვს მათ ახდას სიბინძურის შიგ ჩასაშვებადაო. ამ აზრის განხილვას, უდროობისა თუ სხვა მიზეზების გამო, ვერ შეუდგნენ ჩვენი ხმოსნები და მისი დაწვრილებით გასინჯვა მიანდეს კომისიას.

კ. ბ—ძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Нов. Обоз.“-ში დაბეჭდილია გორესმეხოვის (ოპოჩინინის) წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ავტორი შეეხება მოღვაწეობას გრ. არწრუნისა და ი. კერესელიძისას. არწრუნის შესახებ გორესმეხოვი სწერს:

გრ. არწრუნმა მთელი თავისი სიცოცხლე და სული და გული შესწირა საზოგადო საქმეს. არწრუნმა თავისის მაგალითით დაამტკიცა, რომ პირადის ბედნიერების გარდა არის კიდევ სხვა ბედნიერებაც, როცა კაცი ჰგრძნობს, კეთილ-სვინიდისიერად განვლე ჩემი სიცოცხლეო. გ. არწრუნმა თავის სიმდიდრესა და განცხრომით ცხოვრებას პუბლიცისტის მოღვაწეობა ამჯობინა.

შემდეგ ბ-ნი ოპოჩინინი არწრუნთან ერთად იხსენიებს განსვენებულს ჩვენს მოღვაწესა და მწერალს ივანე კერესელიძეს.

კერესელიძეო, სწერს ოპოჩინინი, გ. არწრუნს არ ჩამოუვარდებოდა ენერგიითა და მხნეობით, თუმცა არც დიდი ნიჭი ჰქონდა და არც განვითარება. მიუხედავათ ამისა, კერესელიძის სახელი არ დაავიწყდება ქართველ საზოგადოებას, რადგანაც სახელი მისი დაკავშირებულია ქართულ ლიტერატურისა და მწერლობის აღორძინებასთან. კერესელიძე მხნედ და დაუღალავად შრომობდა ქართულ ლიტერატურისთვის. სწერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, შრომობდა ქართულ თეატრისთვის, ჰბეჭდავდა სამეურნეო გაზეთს. ერთსა და იმავე დროს განსვენებული კერესელიძე პოეტიც იყო, პუბლიცისტიც, დრამატურგიც, რეჟისორიც, პირველ ქართულ ჟურნალის გამომცემელიც, რედაქტორიც, კორექტორიცა და თითქმის ჟურნალის დამტარებელიც. კერესელიძეს შემდეგ გამოჩნდნენ ახალნი მოღვაწენი, რომელთაც მეტი ნიჭიც ჰქონდათ, მეტი განვითარებაცა და მეტი ცოდნაც. ახალ მწერალთ თავის მოღვაწეობით დაჩრდილეს მოხუცი მწერალი და საზოგადოებას კერესელიძე სრულიად დაავიწყდა. მაგრამ მაშინაც-კი ხელიდგან კალამი მაინც არ დასდო და ლიტერატურას თავი არ დაანება. მოხუცებულმა, ავადმყოფმა ივანე ივანეს ძემ უკანასკნელ ხანებში ახალის ჟურნალის ბეჭდვის ნება-რთვა ითხოვა. განსვენებული ვერ მიხვდარიყო, რომ მის მიერ მოხნულ ალაგს უკვე მშვენიერი ყანაა ამოსული და მისი ძველი, დამტვრეული გუთანი საჭირო აღარ იყო.

და აი, სასტიკმა 1892 წელმა კერესელიძის გარდაცვალებით გვისაყვედურა: რად დაივიწყეთ, უკანასკნელნი წელნი პატიოსანის მოღვაწისა, რომელმაც პირველად დაიწყო შრომა ჟურნალ-გაზეთების აღორძინებისათვისაო?

## რუსეთი

წარსულ წლის ჟურნალ „Рус. Мыс.“-ის უკანასკნელ წიგნში დაბეჭდილია, სხვათა შორის, ერთი წერილი, რომელიც რუსეთის ეხლანდელ ცხოვრებასა და გლეხთა გაჭირვებულ მდგომარეობას შეეხება. ავტორი ამბობს: „ჩვენ საზოგადოებაში მეურნეობის ეკონომიურ ვითარების გამოურკვეველობის გამო დიდხანს ტრიალებდა ხალხში უსაბუთო იმედი, რომ მეურნეობა სარჩოს არ მოგვაკლებსო. მაგრამ ეხლა, ეს მეორე წელიწადია, ხაზინა აუარებელ ფულსა ჰხარჯავს თვით გლეხის გამოსაკვებავად და წლეულსაც დიდი ფულია გადადებული. 40—50 მილიონი მანეთი ჩვენს ხაზინას ვერ გაალარიბებს, მაგრამ როდემდე უნდა მოვიქცეთ ასე? წელს რომ კარგის მოსავალის იმედი ვიქონიოთ, უგუნურობა იქნება, მით უფრო, რომ სახნავ-სათესი მიწა თან და თან დაუძლურდა, ღონე გამოეცალა და მოუსავლობას მოუსავლობა მოსდევს. ამ გვარად ჩვენი მეურნეობა თანდათან დაქვეითდა. ამ მდგომარეობაში რომ დარჩეს გლეხების ბედ-იღბალი, მაშინ ხომ ყოველ წლივ თანდათან უნდა მოემატოს იმ ფულს, რომელიც შესაწევად ეძლევა მოუსავლობა-შიმშილობისაგან გაღატაკებულ გლეხობას. უკან ხომ არ დავიწევთ: შემწეობის მიუცემლობა გლეხებისათვის ხომ შეუძლებელია და შეუძლებელი. საჭიროა ვებრძოლოთ ჩვენის დროის ჭირ-ვარამის სათავეს და ძირეულად შევცვალოთ მეურნეობის გარემოებანი. ეს დიდი და ძნელი საქმეა, მაგრამ ჩვენმა სახელმწიფომ და საზოგადოებამ ყოველი თავისი ძალ-ღონე უნდა მოიკრიფოს ამ დიდ-საქმის განხორციელებისათვისაო“.

## გასართობი

ქალებო, ნუ გათხოვდებით!..

ქალი ბევრ ნაირაა: ქერა, შავგრემანი, შავ-თვალა, ცის ფერ თვალებიანი, მაღალი, სარის ტანისა, დაბალი, მოხუცი, ოთხმოცის წლისა და ახალგაზდა—ცამეტ-თორმეტის წლისა. არიან ქალები, რომელთაც კარგად იციან ბოზბაშის მოხარშვა და კარგის წნილის ჩადება, მაგრამ არიან ისეთნი ქალნიც, რომელთაც გოზინაყის გაკეთებაც-კი გაუძნელდებათ. მაგრამ ყველა ქალები ერთში ჰგვანან ერთმანეთს: ყველას გათხოვება უნდა.

ქმრის გულისათვის ქალი თავს ანებებს მამასა, დედას, ძმებს, დებს, სკოლას... მე მაგალითები ვიცი, რომ ცამეტის წლის ქალებს ტიკინები შესძულებიათ და წყალში გადაუყრიათ, როცა საქმრო გამოსჩენიათ.

გასათხოვარი ქალები ჰხედვენ, რომ მათნი ნაცნობნი ქალნი, გათხოვების შემდეგ, ავად ხდებიან, ფერი ეკარგებათ და ძლიერ მალე ბერდებიან. 35 წლის გასათხოვარი ქალი-კი ისევ ახალგაზდაა ხოლმე. მაგრამ მაინც ჰშურს, როცა მეზობლის ქალი თხოვდება!

მიკვირს ქალების საქმე! ერთ კაბას თხუთმეტჯერ ჩაიცმენ ხოლმე და სარკეში იყურებიან, მიხდება თუ არაო. და გათხოვების დროს ერთხელაც არ დაფიქრდებიან, ჩემი საქმრო როგორი კაციაო.

25 წლის გასათხოვარი ქალი, რომელიც, მაშასადამე, თავის დედას 25 წელიწადია იცნობს, დედის სიტყვას არ გაიგონებს და თავის საქმროს-კი, რომელიც ხანდახან სულ 25 დღეა, რაც გაუცვნია, თუ გინდ ჯოჯოხეთშიაც გაჰყვება. თუ ახალგაზდა ქალი მოხუცს კაცს მისთხოვდება, გეტყვით, მამასავით მიყვარს და შვილსავით მოუვლიო. თუ ხანში შესული ქალი ახალგაზდა კაცს მისთხოვდა, ყველას დააჯერებს, ისე მიყვარს, როგორც შვილიო.

ამ ჟამად თუ ქალსა სთხოვეთ, ცოლად გამომყევი, და უარი გითხრათ, იცოდეთ, რომ ეს ქალი ან ჭკუაზეა შეშლილი, ან არა და თქვენზედ უფრო კარგი საქმრო ჰყავს ამორჩეული.

აი, რას მოვახსენებ გასათხოვარ ქალებს. ჩემის აზრით, ქმრის ყოლას მარტიას ყოლა სჯობია. მარტია რომ დილით გამოიღვიძებს, ტიტინს მოჰყვება; ქმარი-კი, თვალს გაახელს თუ არა, მაშინვე დაგიყვირებთ: „რა იქნა ჩემი წინდებიო“?

როცა მარტიას საკენკს დაუყრით, სიხარულით აღარ არის ხოლმე. როცა ქმარს წვადებს მიართმევთ, დაღრეჯილი სჭამს და, არ იქნება, არ გისაყვედუროთ: „თუ ღმერთი გწამს, ეს ჯანჯღი რომელ ხარაზის დუქანში აყიდვინეო“.

როცა მარტიას წყალს დაუსხამთ, სიხარულით აღარ არის ხოლმე და წყალში მხიარულად ჭყუმპალაობს.

როცა ქმარს პირის დასაბანად წყალს მიუტანთ, არ შეიძლება არ დაგიყვიროთ: „ასეთის ცხელის წყლით პირის დაბანა გაგონილა? გოჭი ხომ არა ვარ, რომ გამფუფქოთ“; თუ წყალი ცოტა ცივია, მაშინ უარესი: „ყინულით პირის დაბანა გაგონილაო“?

თუ ქმარი მარტო დასტოვეთ, იმის წუწუნს საზღვარი აღარ ექმნება: „ცოლმაც თავი დამანება და შვილებმაც, ბაიყუშსავით მარტო დამტოვესო“. თუ შვილები გარს შემოეხვივნენ და ცელქობა დაიწყეს, კაი თქვენი ბრალი; „ე ბაღლები მომაშორე, თორემ, ღმერთს გეფიცები, ყველას თავებს დავგლეჯავო“.

არა, ქალებო! აი ჩემი რჩევა: არამცა და არამც არ გათხოვდეთ!..

???

## გამოსაღები ცნობანი

1893 წელს, 13 თებერვალს, დილის 10 საათზედ, ბორჩალოს მაზრის სოფ. შულავერში მომრიგებელ სასამართლოს დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გასასყიდად: უძრავი მამული გრიგოლ ნადიროვისა (დუქანი სარდაფით, ერთი ოთახი და მიწა ზომით 20 ოთხ-კუთხი საჟენი და ხეხილიანი ვენახი ზომით 2 დესეტინა და 1760 ოთხ-კუთხი საჟენი). ვაჭრობა 400 მანათიდგან დაიწყობა.

— იმავე სოფელში და იმავე დღეს დანიშნულია ვაჭრობა გასასყიდად იმხანა და შამირ ნადიროვების უძრავ მამულისა. ვაჭრობა 350 მანათიდგან დაიწყება.

— ტფილისის რკინის გზის მმართველობაში 20 იანვარს დანიშნულია ვაჭრობა ტფილისისა და ბაქოს რკინის გზის სამკურნალოებისთვის სანოვაგეს იჯარით გაცემისა ამა 1893 წლისთვის. სამკურნალოსთვის საჭიროა: 2066 ცა-

ლი ქათამი, 894 ფუთი ძროხის ხორცი, 197 ფუთი კარტოფილი, 145 ფუთი კომბოსტო, 27 ფუთი ერბო, 2630 ბოთლი კახური ღვინო, 6182 ცალი კვერცხი, 180 ფუთი თევზ და სხ. პირობათა შეტყობა შეიძლება რკინის გზის უფროსს მკურნალთან, ან ტფილისისა და ბაქოს ხამკურნალოების გამგებელთან.

# დეპეშა

5 იანვარი

**პარიჟი.** გერმანულ გაზეთების კორესპონდენტს ვედელს აცნობეს, რომ გარდაწყვეტილია მისი განდევნა საფრანგეთიდგან. ხვალ უცხო ქვეყნების მწერალთა ამხანაგობის კომიტეტი შეიკრიბება და განიხილავს, გამორიცხულ იქმნენ ამხანაგობისაგან ის წევრნი, რომელიც საფრანგეთის პოლიციამ განდევნა. საფიქრებელია, რომ განდევნილნი იქნებიან ორი გერმანელი და ორი იტალიელი კორესპონდენტიც.

სოციალისტის დეპუტატმა ლავიმ იჰმართა მთავრობას და შეეკითხა ხუთის ანარქისტის განდევნის გამო. რიბომ უპასუხა, რომ მას შემდეგ, რაც ყუმბარების საქმე გაჩნდა, რომელიც განხილულ იქმნა სამის წლის წინად, პოლიციას თავი არ დაუნებებია იმათ ძებნისათვის, ვინც საშიშრად მიაჩნდა. „საფრანგეთიო, დასძინა რიბომ, არას დროს არ მოითმენს, რომ ამის მიწა-წყალზე უცხოელები მოქმედებდნენ მეზობელ სახელმწიფოთა სავნებლად. მთავრობა არ შედრკება და განდევნის ყველას, ვისიც განდევნა საჭირო იქნებაო". ასტყდა ტაშის ცემა. სოციალისტმა ჟურდიმ მოითხოვა, რომ ეგ შეკითხვა ინტერპელიაციათ იქმნას გარდაქმნილიო. პალატამ 352 ხმის უმეტესობით, წინაალმდეგ 34-სა გადასწყვიტა: ერთის თთვით იქმნას გადადებული მაგ საქმის განხილვაო.

**ქენზელკირხენი.** შრედერის მთადნის მუშათა გაფიცვა დღეს უკვე შესაძლოა მოსპობილ საქმედ მივიჩნიოთ.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,88 | 7,92 | — ,, |
| მოუნის კუპონები . | 157¾ | 158½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 245¾ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 221½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 192½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102½ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99⅞ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102½ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99⅞ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98¾ |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დილით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დილით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

## ნ ი ხ რ ი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | 4 „ |
| „ „ 2 „ „ | „ | 3½ „ |
| „ „ 3 „ „ | „ | 3 „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | 5 კ. |
| „ „ „ 2 | „ | 4 „ |
| „ „ „ 3 | „ | 3½ „ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | |
|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | 7 კ. |
| მე-2 „ „ „ | „ | 5 „ |
| მე-3 „ „ „ | „ | 4 „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | 7 კ. |
| სუკი — — — | | 12 „ |
| ცხვრის ხორცი — — | | 7 „ |

# განცხადებანი


ფრანგულსა და გერმანულს ასწავლის **პარიჟელი პროფესორი**, მიხეილის ქუჩა № 29.

(3—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების"
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |

გამოვიდა და დაურიგდა აგენტებს ქუთაისის ამხანაგობის მიერ გამოცემული

„მწირი",

ლერმონტოვისა

ნათარგმნი გრ. აბაშიძისაგან.

ფასი ორი შაური

(3—3)

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.
გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ." კანცელარიაში და სხვაგანაც
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული

**საქართველოს კალენდარი**
**1893 წ.**

კალენდარი შეიცავს 500-მდე კარგად დასტამბულ გვერდს დიდის ფორმატისას. «საქართველოს კალენდარი» 1893 წლისათვის დასურათებულია მრავალის, როგორც უცხო ქვეყნების, აგრეთვე ქართველ მწერალ მოღვაწეთა სახეებით.
ფასი უყდოდ **45** კაპ. ყდაში **55** კაპ.

უბის წიგნი 1893 წლისათვის
მშვენიერის ყდიან-ყარანდაშით და რეზინით **40** კაპ.

**სახალხო კალენდარი 1893 წ.**

მრავალის ცნობებით და საჭირო გამოსადეგ რჩევა-დარიგებით
ფასი ერთი შაური.
იქვე ისყიდება ეხლა-ხან გამოსული ახალი წიგნი,
ვალ. გუნიას მიერვე შედგენილი,

ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სრული და კრცელი სახელმძღვანელო სხვა-და-სხვა ბარათებისა და წერილების შესადგენად ყოველ გვარ შემთხვევისთვის. წიგნში 208 გვერდია სამ ნაწილად.

**ფასი ორი აბაზი, ყდით ათი შაური**

ყველა ვინც ნაღდ ფულად გამოიწერს ამ წიგნებს არა ნაკლებ 4 და 5-ის ცალისა, დაეთმობა 20%.

ვისაც საკამისიოდ ჰსურთ კალენდრების წაღება, შეუძლიანთ მიჰმართონ „წერა-კითხვის გამავრც. საზ." წიგნის მაღაზიას.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან: ფრეილინის ქუჩა № 5,

(6—3)

„РАЗВЛЕЧЕНІЕ"

Журналъ политическій, литературно-художественный и сатирическій съ карикатурами.

ГОДЪ ИЗДАНІЯ ТРИДЦАТЪ ПЯТЫЙ

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1893 ГОДЪ**

Новая редакція дѣйствуетъ около полутора года,—и наши постоянные читатели имѣли возможность убѣдиться, въ какой степени она стремится усовершенствовать журналъ, давъ ему желательное направленіе. Для участія въ работѣ журнала привлечены всѣ лучшія силы, выдающіяся на литературномъ и художественномъ поприщѣ, о чомъ, собственно, нѣтъ надобности говорить постояннымъ читателямъ, такъ какъ они хорошо ознакомлены съ *содержаніемъ и стремленіями* журнала и, какъ замѣтно для редакціи, не падки на внѣшній лоскъ.

Это мы говоримъ смѣло, такъ какъ наши усилія къ совершенствованію журнала поощрены нетолько неожиданнымъ успѣхомъ, увеличившимъ число подписчиковъ прежняго издателя—более чѣмъ втрое, но и массою сочувственныхъ писемъ, благодарящихъ за возвратъ къ *давно забытому типу сатирическихъ журналовъ*. Впрочемъ за это насъ кое-кто называетъ прямолинейными,—но мы гордимся такимъ прозвищемъ, ибо поклоняемся правдѣ и не привыкли ходить криволинейными путями, тѣмъ болѣе—скрывать свои недостатки.

Журналъ даетъ въ годъ пятьдесятъ номеровъ, въ которыхъ помѣщаеться болѣе восьмисотъ прекрасно исполненныхъ рисунковъ извѣстныхъ карикатуристовъ-художниковъ. Литературный-же отдѣлъ вмѣщаетъ въ себѣ массу художественныхъ разсказовъ, сценъ, очерковъ, стихотвореній и всякаго рода сатирическихъ и юмористическихъ мелочей, трактующихъ злобы дня и дающихъ полную картину кравовъ современнаго общества и общественныхъ дѣлъ столицъ и провиціи.

ЖУРНАЛЪ ПЕЧАТАЕТСЯ ВЪ СОБСТВЕННОЙ ТИПОГРАФІИ.

По примѣру прошлаго года,—въ наступающемъ году издательница нашла возможнымъ разослать всѣмъ годовымъ подписчикамъ

**ТРИ ПРЕМІИ**

состоящія изъ фотогравюръ съ картинъ художниковъ, каждая въ размѣрѣ не менѣе прошлогоднихъ (окол 14/9 вершковъ):

первая преоія
„МИНЬМНА"
*(Картина Габріэля Макса);*
втарая премія
**„ПРЕДЛОЖЕНІЕ"**
*(Картина де-Блааса);*
третья премія
„ВЪ ГАРЕМѢ"
*(Картина Конрада Кизеля);*

ВСѢ ТРИ ПРЕМІИ ВЫСЫЛАЮТЯ НЕМЕДЛЕННО ПО ПОДПИСКѢ.

Подписывающіеся съ разсрочкою получаютъ преміи по уплатѣ всей подписной суммы.

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:**

На годъ . . . *съ преміями* семь р.; *безъ премій* шесть р.
„ полгода . . . . . . . . . . три р.
› три мѣсяца.. . . . . . . . . . одинъ р. 50 к.
› одинъ мѣсяцъ . . . . . . . . . 50 коп.

Уплата подписныхъ денегъ МАРКАМИ не принимается.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: въ Главной Конторѣ журнала: Москва, Тверская, Пасажъ Постникова, а кромѣ того—въ конторѣ Н. Печковской—(Петровскія линіи) и во всѣхъ библіотекахъ и книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи.

**Иногородные адресуютъ: Москва, Журналу, „Развлеченіе".**


Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.